საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №94
2025 წლის 9 სექტემბერი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის №266 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, 24-ე მუხლისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის № 266 ბრძანებით (სსმ, №34, 25/03/2005, 140.130.000.22.034.007.173) დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის „ი^{1}“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი^{1}) მინისტრთან ან კურატორი მინისტრის მოადგილესთან (არსებობის შემთხვევაში) შეთანხმებით განსაზღვროს დაცვითი მომსახურების სახეები და მათი ტარიფები, გარდა ფიზიკურ პირთა დაცვისა და ავტომანქანის დროებით ბალანსზე აყვანის მომსახურებისა;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2025 წლის 9 სექტემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა
მინისტრი **გელა გელაძე**